საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-621

16/07/2020

ქ. თბილისი

„საჩხერის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საჩხერე-ქვემოხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდელი 5.537კმ-10.537კმ. მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია და ექსპლუატაციის“ პროექტის სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 12 ივლისის N 2-556 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 12 ივლისის N 2-556 ბრძანებით გაიცა საჩხერის მუნიციპალიტეტში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საჩხერე-ქვემოხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდელი 5.537კმ-10.537კმ. მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია და ექსპლუატაციის“ პროექტზე სკოპინგის დასკვნა.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჩხერის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საჩხერე-ქვემოხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდელი 5.537კმ-10.537კმ. მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია და ექსპლუატაციის“ პროექტის სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 12 ივლისის N 2-556 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და საჩხერის მუნიციპალიტეტის

აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი